პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

აგვისტო 2025 წელი ქალაქი ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №---------

„ქალაქ ბათუმში ზედა ღელის ქუჩისა და ზედა ღელის შესახვევებისათვის კახი კავსაძის ქუჩისა და კახი კავსაძის შესახვევების მინიჭების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის №გ-15.152329711 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 აპრილს N19/15251144-15 განცხადებით მომართა მოქალაქე რევაზ ბოლქვაძემ და მოითხოვა „ქალაქ ბათუმში ზედა ღელის ქუჩისა და ზედა ღელის შესახვევებისათვის კახი კავსაძის ქუჩისა და კახი კავსაძის შესახვევების მინიჭების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის №გ-15.152329711 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 59-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე რევაზ ბოლქვაძის 2025 წლის 24 აპრილს N19/15251144-15 განცხადება და გასწორდეს ტექნიკური შეცდომა „ქალაქ ბათუმში ზედა ღელის ქუჩისა და ზედა ღელის შესახვევებისათვის კახი კავსაძის ქუჩისა და კახი კავსაძის შესახვევების მინიჭების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის №გ-15.152329711 განკარგულებაში და განკარგულების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ ბათუმში ზედა ღელის ქუჩის, ზედა ღელის შესახვევებისა და ზედა ღელის ქუჩის დასახლებისათვის (N1-დან — N50-ის ჩათვლით)კახი კავსაძის ქუჩისა და კახი კავსაძის შესახვევების მინიჭების თაობაზე“

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქალაქ ბათუმში, ზედა ღელის ქუჩას, ზედა ღელის ქუჩის I, II შესახვევებს და ზედა ღელის ქუჩის დასახლებას N1-დან N50-ის ჩათვლით ეწოდოს:

ა) ზედა ღელის ქუჩას - კახი კავსაძის ქუჩა;

ბ) ზედა ღელის ქუჩის I შესახვევს - კახი კავსაძის ქუჩის I შესახვევი;

გ) ზედა ღელის ქუჩის II შესახვევს - კახი კავსაძის ქუჩის II შესახვევი;

დ) ზედა ღელის ქუჩის დასახლებას N1-დან — N50-ის ჩათვლით - კახი კავსაძის ქუჩის III შესახვევი.“.

2. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს „ქალაქ ბათუმში ზედა ღელის ქუჩისა და ზედა ღელის შესახვევებისათვის კახი კავსაძის ქუჩისა და კახი კავსაძის შესახვევების მინიჭების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის №გ-15.152329711 განკარგულების შემადგენელ ნაწილს.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას წინამდებარე განკარგულების თანახმად, განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი თავდგირიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმში ზედა ღელის ქუჩისა და ზედა ღელის შესახვევებისათვის კახი კავსაძის ქუჩისა და კახი კავსაძის შესახვევების მინიჭების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის №გ-15.152329711 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 აპრილს N19/15251144-15 განცხადებით მომართა მოქალაქე რევაზ ბოლქვაძემ და მოითხოვა „ქალაქ ბათუმში ზედა ღელის ქუჩისა და ზედა ღელის შესახვევებისათვის კახი კავსაძის ქუჩისა და კახი კავსაძის შესახვევების მინიჭების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის №გ-15.152329711 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

„ქალაქ ბათუმში ზედა ღელის ქუჩისა და ზედა ღელის შესახვევებისათვის კახი კავსაძის ქუჩისა და კახი კავსაძის შესახვევების მინიჭების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის №გ-15.152329711 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ განკარგულების პირველი პუნქტში ნაცვლად „ქალაქ ბათუმში ზედა ღელის ქუჩასა და ზედა ღელის შესახვევებს მიენიჭოს კახი კავსაძის ქუჩისა და კახი კავსაძის შესახვევების სახელი“ ჩაიწეროს შემდეგი:

„1. ქალაქ ბათუმში, ზედა ღელის ქუჩას, ზედა ღელის ქუჩის I, II შესახვევებს და ზედა ღელის ქუჩის დასახლებას N1-დან N50-ის ჩათვლით **ეწოდოს:**

ა) ზედა ღელის ქუჩას - კახი კავსაძის ქუჩა;

ბ) ზედა ღელის ქუჩის I შესახვევს - კახი კავსაძის ქუჩის I შესახვევი;

გ) ზედა ღელის ქუჩის II შესახვევს - კახი კავსაძის ქუჩის II შესახვევი;

დ) ზედა ღელის ქუჩის დასახლებას N1-დან — N50-ის ჩათვლით - კახი კავსაძის ქუჩის III შესახვევი.“.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის თანხმობა.

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია

ვ) პროექტის ინიციატორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია და

ზედა ღელის დასახლების მოსახლეობა.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე **ნატალია ძიძიგური**